საიდ. N 84752/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N103-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, თ. კევლიშვილის მდივნობით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის და 2016 წლის 14 სექტემბრის Nა-241 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად, განიხილა კომპანიის „ჰერბალაიფ ინთერნეიშენალ, ინკ“ (Herbalife International, Inc) N103-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 13 ივნისის

N1270/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „BETA HEART“ (საიდ. N84752/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 13 ივნისის N1270/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „BETA HEART“ (საიდ. N84752/03) მსგავსია მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის კომპანიის „ეგის დიოდისერდიარ ზრტ.“(EGIS Gyógyszergyár Zrt.) სახელზე დაცული სასაქონლო ნიშნისა „BETAHART“ (IR 1191551, რეგ. თარიღი 20.09.13). დაპირისპირებული ნიშნები სიტყვიერია და შესრულებულია ლათინური ანბანით. ნიშნები აღრევამდე მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი სტილიზებულია (შესრულებულია წითელ ფერში) და შეიცავს დამატებით ასოს - „e“, აღნიშნული ნიშნებს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას, რადგან ორივე სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ბეთაჰართ“. მსგავსია, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „Pharmaceutical preparations for human use“ (ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანებისთვის), ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშანი განცხადებულია მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საკვები დანამატები“. ფარმაცევტული პრეპარატები ფართო ცნებაა და გარკვეულწილად მოიცავს საკვებ დანამატებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ მედიკამენტებს აქვთ განსხვავებული დანიშნულება, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ საკვები დანამატები უმეტეს შემთხვევაში აბების ფორმით იყიდება და დაპირისპირებული ნიშნებით მონიშნული საქონლის რეალიზაციის ადგილიც ერთია. საკვები დანამატები ხელმისაწვდომია

აფთიაქებში, სხვა ფარმაცევტულ პრეპარატებთან ერთად. აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და სააპელაციო საჩივარში უთითებს, რომ სასაქონლო ნიშნის „BETA HEART“ (საიდ. N84752/03) რეგისტრაცია არ ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან არ არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი.

სააპელაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვიერი ელემენტისაგან, განსხვავებით დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტილიზებული ფორმით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი სტანდარტული ლათინური ასოებით.

აპელანტის მითითებით, განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც. შეუძლებელია მომხმარებელს ერთმანეთში აერიოს საკვები დანამატები და ფარმაცევტული პრეპარატები, ვინაიდან მათი რეალიზაციის ადგილი სხვადასხვაა.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა ექსპერტიზის დასკვნა, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი Beta Heart (საიდ. N84752/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „BETAHART“ (IR 1191551, რეგ. თარიღი 20.09.13) აღრევამდე მსგავსია ფონეტიკური და ვიზუალური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი Beta Heart (საიდ. N84752/03) შესრულებულია სტილიზებულად, ლათინური ასოებით. სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვიერი ელემენტისაგან.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „BETAHART“ (IR 1191551, რეგ. თარიღი 20.09.13) შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით და შედგება ერთი სიტყვიერი ელემენტისაგან.

ნიშნები მსგავსია ვიზუალური თვალსაზრისით, რადგან ნიშნებს შორის განსხვავებას მხოლოდ ერთი ასო „e“ წარმოადგენს. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში ერთი განსხვავებული ასოს არსებობა და მისი სტილიზებული ფორმით შესრულება ნიშნებს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას.

ნიშნები იდენტურია ფონეტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ბეთაჰართ“.

სააპელაციო პალატის კოლეგის მიაჩნია, რომ მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი. განცხადებული სასაქონლო ნიშანი განცხადებულია მე-5 კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საკვები დანამატები“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „Pharmaceutical preparations for human use“ (ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანებისთვის). საკვებ დანამატებს მიეკუთვნება ვიტამინები, პროტეინები და ასევე სხვა დანამატები, რომლებსაც იგივე რეალიზაციის ადგილი აქვს, რაც ფარმაცევტულ პრეპარატებს. ორივე სახის საქონელი მომხმარებლის მიერ ხელმისაწვდომია აფთიაქში. აღნიშნული ზრდის ნიშნებს შორის აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „BETA HEART“ (საიდ. N84752/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16

მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – ,,საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ჰერბალაიფ ინთერნეიშენალ, ინკ“ (Herbalife International, Inc) სააპელაციო საჩივარი (103/03-16) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 13 ივნისის N1270/03 ბრძანება.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი